კვირა, 22 ნოემბერი 1915 წ. ფასი 10 კაპ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლდას ქუჩა № 6.

ეშვაკიშ მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 28



— ნეტავი რასა თხოულობს ეგ ხალხი.

გ ო რ ი.

როგორც იყო, მატარებელში ჩავდექი. **ჩავ-დექი**-მეთქი ვამბობ, რადგან ახლანდელ დროში მატარებელში **ჩაჯდომა** ისევე ძნელია, როგორც, მაგალითად, საკუთარ ნიდაყვზე კბენა. მე მაინც ფარხმალი არ დავყარე და შეუდექი ადგილის ძებნას. ყველა კუპე ისე იყო გამოვსებული, როგორც თანამედროვე გაზეთები ომის ჟორებით. მხოლოდ ერთ კუპეში, რომლის კარი შიგნიდან ჯაჭვით იყო გადარაზული და ოდნავ იღებოდა, მარტო ორი კაცი იჯდა—ქალ-ვაჟი—ორივ სამხედრო პირი, აფიცერი და მოწყალების და. რის ვაი-ვაგლახით შევყავი ცხვირი და ზრდილობიანათ ვიკითხე: —უკაცრავათ, ბატონებო, მანდ მგონი თავისუფალი ადგილებია... შეიძლება შემოვიდე? —ქალი ფიცხლავ წამოხტა, მოვარდა და ისეთი სისწრაფით მიარეხვა კარი, რომ ძლივს მოვასწარი ცხვირის გადარჩენა.

— რას სჩადიხართ?—მომესმა უკანიდან ვიღაცას აღელვებული ხმა:—იქ შესვლა არ შეიძლება!.. ამ კუპეში ავათმყოფი აფიცერი და მისი მომვლელი მოწყალების და სხედან!

ვაგონის კონდუქტორი იყო.

— მერე მე რა ვიცოდი?—შევუბრუნე სიტყვა კონდუქტორს:—რა სჭირს იმ აფიცერს: დაჭრილი ხომ არ არის?

— არ ვიცი... მგონი დაჭრილი უნდა იყოს, —მიპასუხა მან.

— ეტყობა, გულში უნდა ჰქონდეს ჭრილობა, არაა?

— რა მოგახსენოთ... მხოლოდ, გთხოვთ, ნუღარ შეაწუხებთ... მე ნაბრძანები მაქვს არავინ შევუშვა...

კონდუქტორის გაფრთხილება ჩემთვის სრულიად მეტი იყო. როგორ ვიკადრებდი სამხედრო პირის შეწუხებას, და ისიც დაჭრილის, და ისიც გულში დაჭრილის, მე,

ბედს დავემორჩილე და შევუდექი ფეხზე დასადგომ ადგილის ძებნას. ძლივს გავატანე ჩემი ბედის მოზიარე ხალხით გაჭედილ ვაგონში და ბაქანზე გავედი. აქ კიდევ უარესი მდგომირეობა დამიხვდა, მაგრამ წესიერათ უკან დახევა არც ისე ადვილი ყოფილა, როგორც ჩვენი დროის მომსწრე კაცს შეუძლია იფიქროს და ისევ ბაქანზე დარჩენა ვარჩიე.

— სად მიბრძანდებით, ყმაწვილო კაცო? — მკითხა ჩემ წინ მდგომმა, ფრიად ჩასუქებულმა ზორბა კაცმა, რომლის ღიპი ზედ გულზე მაჭერდა და სუნთქვას მიჭირვებდა.

— თუ თქვენ გადაგირჩით, ქალაქ გორში ვაპირებ მისვლას, ბატონო!—ვუპასუხე მე.

— მერე მე რა შუაში ვარ?—გაკვირვებით ჩამეძია ჩემი მობაასე.

— პირადათ თქვენ კი არ შემიძლია გისაყვედურო, მაგრამ რაც შეეხება თქვენს მუცელს, ლამის არის გამჭყლიტოს,—სიცილით ვუპასუხე მე, რათა ჩემი სიტყვები უდიერათ არ ჩვენებოდა და არ გამწყრალიყო. ჩემი მუცლიანი თანამგზავრი, როგორც ყველა მუცლიანებს სჩვევია, ხუმრობის ამტანი და მხიარული კაცი გამოდგა და თავადაც სიცილი დაიწყო.

— უკაცრავად... მე კი ვერაფერს ვგრძნობ,— მითხრა მან.

— ჩემთვის სრულიად საკმარისია ისიც, რომ მე ვგრძნობ... ან კი ჩემი გაჭყლეტა თქვენ როგორ უნდა იგრძნოთ?—გაუთავამდი მე.

— ჰაჰა-ჰა! მართალია, მე და ჩემმა ღმერთმა! გადიხარხარა მან: მაშ გორში მიბრძანდებით?

— დიახ, ბატონო და, წარმოიდგინეთ, პირველათ ჩემ სიცოცხლეში. არასოდეს არა ვყოფილვარ გორში... იქნებ თქვენ იცნობდეთ იქაურობას...

— როგორ არა—გამაწყვეტინა სიტყვა მან:— ორი წელიწადია იქ ვცხოვრობ... უკაცრავათ, თქვენ რა საქმეზე მიბრძანდებით გორში, კომბოსტოს ყიდვას ხომ არ აპირებთ?

— ვინ იცის, თუ იაფია, შეიძლება ერთი ოთხი-ხუთი გირვანქა კომბოსტოც შევიძინო, მაგრამ ჩემი უმთავრესი მიზანი კომბოსტოს ყიდვა არ გახლავთ.

— მაშ ხილისა?

— როგორ თუ ხილისა? განა გორში ხილეული მოდის?

— ეერიჰაა!—წამოიძახა ჩემმა მოსაუბრემ:— თქვენ არ იცით, რომ გორის მაზრა განთქმულია ხილეულით? მაშ საიდან მიაქვს ქალაქში ხილი მებაღეთა ამხანაგობას „ქართლს“?

— მერე, განა „ქართლის“ მაღაზიას გორიდან მოაქვს ხილი?

— მაშ!

— მე კი მეგონა, რომ პირიქით: თფილისის მაღაზიიდან გორში გაჰქონდა.

ჩემმა თანამგზავრმა გულიანათ გადიხარხარა:

— კაცო-და, ვის გაუგონია თბილისის მაღაზიიდან გორში ხილის გაგზავნა, ჰა-ჰა-ჰა!

— რა ვიცი, ბატონო, სულ მუდამ ცარიელია ეს თქვენი „ქართლის“ მაღაზია და! მაშ სად ფანაბაში ინახავენ ამ ხილს, თუ გორში არ ჰგზავნიან?..

ჩემი მოსაუბრე განუწყვეტლივ ხარხარებდა. ბოლოს არ ჰქონია ისეთი გასავალი ჩემს ოხუნჯობას, როგორიც ამ ჩასუქებულ გორელთან ჰქონდა. გორში წასვლის მიზეზი არ გაუმხილე. თუმცა ბევრს ეცადა შეეტყო, მაგრამ მე ყოველთვის დიპლომატიურათ გადავუქარაგმებდი და კითხვას ოსტატურათ შემოუვლიდი ხოლმე. ამან კიდევ უფრო დააინტერესა და ისე დამიწყო ცქერა, როგორც ჩვენ ყველასავე უცნაურსა და იდუმალობით სავსე სანს ვუცქერით ხოლმე: რაღაცნაირი პატივისცემით, ერთხილით და უნებურის კრძალვით და მორიდებით. იმედი მაქვს, არც მკითხველი დამძრახავს, მასაც ვერ გაუმხელ გორში ჩემი გამგზავრების მიზეზს. ვფიცავ პატიოსნებას, რომ შემეძლოს, არ ვიმალავდი, მაგრამ ღმერთია მოწამე და ჩემი სიტყვისი, რომ არ შემიძლიან!—რათაო, იქნებ იკითხოთ თქვენ; იმათია, რომ არავითარი „უმთავრესი ადგილი“ გორში ჩემს წასვლას არა ჰქონია: წავედი-მ. ისე: მომიარა და წავედი...

ყველაფერს საზღვარი აქვს ამ ქვეყნათ გარდა ბაბის სახელმწიფოებისა და ჩვენს, ჩემსა და ჩემს თანამგზავრის, მხიარულ ბაასსაც დაედო საზ-

ეცხარებულ ლაპარაკში ვიყავით. და ჩემი ღიმილიანი გორელის ხარხარი ისე გაისმოდა, თითქოს ელა ქვევრში დამწყვდეული დევი ხარხარებდეს. მაგრამ უცებ რაღაც უცნაურს კილოზე დაიწყო ლაპარაკი. ავიხედე ზევით და დავინახე რომ... ასძინებოდა და ხვრინავდა. სრულიად უმიზეზოდ ულოგიკოთ და უსაბუთოდ ხარხარიდან ზეზე გადასულიყო. სიცილი რომ ტირილათ

შეეცვლებათ, ბევრჯერ გამიგონია და დამინახავს, მაგრამ გულიანი ხარხარი ერთი დაკვრით გულიანი ხვრინვათ შეცვლილიყოს, არასოდეს არ გამეგონა. .

როცა გაეღვიძა, გორთან ახლოს ვიყავით. თითქმის საათნახევარი ეძინა იმ დალოცვილს და რომ გამოიღვიძა ისე ადვილათ და უბრალოთ დაუბრუნდა დაძინების წინ შეწყვეტილ ლაპარაკს რომ პირდაპირ გავშტერდი და სახტათ დავრჩი:

— ჰო, იმას მოგახსენებდით... დაიწყო მან... გორელებში ერთი ახირებული მოვლენა შევამჩნიე.

— უკაცრავათ, ეგ მოვლენა მეც შევამჩნიე,— გავაწყვეტინე მე: ლაპარაკში ზეზე დაძინება იციან და ორი საათის შემდეგ რომ გამოეღვიძებათ, ვერც კი ატყობენ, ეძინათ თუ არა.

— არა,-კვლავ ხარხარით მიპასუხა ჩემმა თანამგზავრმა: — მე სულ სხვას მოგახსენებთ: რაღაც გამოუტოკვეველ მიზეზების გამო გორში საკვირველათ ხშირია ჭკუაზე შეშლის შემთხვევები...

— როგორ?..

— აი, ჩემს იქ ყოფნაში, ე ი. ამ ორი წლის განმავლობაში 17 კაცი შეირყა. ეს ჩემ ნაცნობებში და ახლა ვინ იცის კიდევ რამდენი შეიშალა.

ეს მართლაც საინტერესო და დამაფიქრებელი მოვლენა იყო, მაგრამ მატარებელი სადგურს მიადგა კიდეც და იძულებული გავხდით ლაპარაკი შეგვეწყვიტა. როცა სადგურის ბაქანზე ჩამოვედი, თვალი მოვკარი ავთმყოფ აფიცერსა და მოწყალების დას. უკანასკნელს ხელ-გამოყრილი მოჰყავდა პირველი, რომელიც ძალიან წამოთლებული მეჩვენა: ალბათ სიცხემ მოუმატა...

გორის ხიდს რომ შევადექი, პოეტების თქმის არ იყოს, ჩამავალი მზის სხივები უკანასკნელ ამ-ჩორს უგზავნიდენ ქალაქ გორის შენობებს და სხვ...

(დასასრული იქნება)

თაგუნა.



განათლების საქმე ოზურგეთში



პროცესიას მიუძღვის იაგორ I განმანათლებელი.

ბაბუა-ჩემი.

ეს ისეთი დიდი ხნის ამბავია, როგორაც დრო ჩემი მახსოვრობისა. მაშინ ვიქნებოდი სულ თორმეტიოდ წლისა და მას შემდეგ თითქმის ხუთი ამდენი დრო გავიდა.

არ მახსოვს, არსებობდა იმ დროს რუსეთში უნივერსიტეტები თუ არა, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ცხონებული ბაბუა ჩემი ჩამოიდებდა ცხვირზე სათვალეს, თითონ ზევიდან გადმოხედავდა და კითხულობდა:

„კიევის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს უკანასკნელ კრებაზე გადასწყდა: უმორჩილესად ეთხოვოს გაზეთი „დროების“ საშუალებით იმათ, ვისაც წაღებული აქვს სათვისტომოს კასიდან ვალად ფული, ახლო მომავალში დააბრუნონ“.

ბაბუა ძემი უნივერსიტეტში არა ყოფილა და არც ვალი ემართა, მაგრამ მაინც რაღაცნაირად ჩაიცინებდა ხოლმე და ამ სიცილის შემდეგ ყ ველთვის ისწორებდა სათვალეს. მაშინ რასაკვ ველია არაფერი მესმოდა იმ ეშმაკური სიცილ მაგრამ ახლა, როცა ამ სიშორიდან გადავხედავ თვალეს ზემოდან ბაბუა ჩემის მომღიმარე თვალ და ქართულად ვთარგმნი იმ ინტერნაციონალ სიცილს გამოდის:

— სწერეთ, სწერეთ ბაბუა; რაც თქვენ მემ ამით ვალი დაგიბრუნოს, იქიდან მე ნურაფ ნუ მიწილადებთო.

მართალია, ნეტარ-ხსენებულ ბაბუა ჩემს „თ არა რქმევია, მაგრამ ამისთანა საკითხებში ძ ურწმუნო თომა იყო.

— ვალის გადახდაც რომ ისე ადვილი ი როგორც აღება, მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ ყოფდაო, იტყოდა ხოლმე ცხონებული.

ერთი, თუ ორი თვის შემდეგ ბაბუა-ჩ თვალეებით შეიარაღეული კვლავ კითხულობ

„კიევის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ თავისს კრებაზე ერთხმად დაადგინა: წინადადება მიეცეს სათვისტომოს კასის მოვალეებს ვალად გატანილი ფული დაუყოვნებლივ დაუბრუნონ სათვისტომოს“.

ბაბუა-ჩემის თვალებში კიდევ ის ჩვეულებრივი ღიმილი და ქართველი კაცის ბუნების მცოდნე პირის მედიდურობა გამოჭკრთოდა.—არა ბაბუ, არა, ქართველი მოვალე ასე ადვილად არავის დანებდებაო, ამოიკითხავდით თქვენ იმ ღიმილსა და მედიდურ გამოხედვაში.

დღე დღეს მისდევდა, კვირე—კვირეს და აი ორიოდ თვის შემდეგ ბაბუა-ჩემი კვლად კითხულობს:

„კიევის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ, თავის ბოლო სხდომაზე დაადგინა: უკანასკნელად ოთაგონოს სათვისტომოს კასის მოვალეებს ერთი თვის ვადაში დაუბრუნონ კასსას ვალად გატანილი ფული. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სახელი და გვარი გაზეთში იქნება გამოცხადებული, ხოლო მათ წინააღმდეგ კანონიერი გზით აღიძვრება საჩივარი“.

— ჰე-ჰე, ჰე! ცოტა ხრინწიანი ხმით ჩაიცინა ბაბუა-ჩემმა და აღარაფერი უთქვამს, ვინაიდან როგორც ხედავთ ამ სამი „ჰე-ჰე-ჰე“-თი მან თითქმის ყველაფერი სთქვა.

—

ეს ამბავი, რომელიც ზემორე ამისა მოგახსენეთ, მართლაც ისეთი დიდი ხნის ამბავია, რომ ბევრ მკითხველთაგანს არც ემახსოვნება. და ვინც ბედმა არ გაჰხადა იმზომ ბედნიერი, რომ მოსწრებოდა ბაბუა ჩემს და მოესმინა ყოველივე ის, რაც მე მოვისმინე, დღეს მე თითონ შემიძლია გავაბედნიერო. ამ მიზნის მისაღწევად საკმარისია გადმოვბეჭდო „სახალხო ფურცლიდან“ შემდეგი პატარა წერილი:

უკანასკნელი გაფრთხილება

იურიევის (დორპატის) ქართული სათვისტომოს მოვალეებს.

მ. ხ.! მიუხედავათ იმისა, რომ სათვისტომოს მოვალეები არა ერთხელ გავაფრთხილეთ გაზეთებისა და კერძო წერილების საშუალებით ვალების გადახდის შესახებ, მათ უმრავლესობამ ამ ჩვენ გაფრთხილებაზე სრული სიჩუმით გვიპასუხა; ამიტომ პირველი ნოემბრის 1915 წ. სათვისტომოს საერთო კრებამ დაადგინა: უკანასკნელად მივმართოთ სათვისტომოს მოვალეებს და მივცეთ ერთი თვის ვადა დღიდან გაზეთებში გამოცხადებისა ვალის გადასახდელად. ვინც კი ამ დანიშნულ ვადაში მასზე დარჩენილ ვალს არ გადაიხდის, გამოცხადდეს მისი გვარი გაზეთებში და შემდეგ მის წინააღმდეგ იურიდიული ზომები იქმნეს მიღებული.

გამგეობა ასრულებს რა საერთო კრების დადგენილებას, უკანასკნელად სთხოვს მოვალეებს მიღონ შესაფერი ზომები ამ ვადაში გამოგზავნოს ვალები შემდეგი მისამართით:

Юрьевъ. Лифл. Студ. Карпезу І. Беридзе, Гилдейская 1.

თავმჯდომარე სათვისტომოსი **კარპეზ ბერიძე**. დრ. მდივანი: **პ. ჭაბუკიანი.**

— ვსთხოვთ უმორჩილესათ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ.

ბაბუა ჩემი რომ ცოცხალი ყოფილიყო, უეჭია ის თავისი სათვალით გულმოდგინეთ ჩაიხედავდა დორპატელ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს „უკანასკნელ გაფრთხილებას“. შემდეგ სათვალის ზემოდან მრავალმეტყველად გადმოიხედავდა და ჩაიცინებდა:—ჰე-ჰე-ჰე-ჰეო.

მე კი სულ სხვა გზას მინდა დავადგე. თხოვნით მინდა მივმართო აღნიშნულ სათვისტომოს,

რომ მან კეთილ ინებოს და გამომიგზავნოს იმ მოვალეობა სია. მე იმათ ვთხოვ ჩვენს ჟურნალში თანამშრომლობას და მათ კუთვნილ ჰონორარს გადაუგზავნი დორპატის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გაძარცვულ კასსას.

მე მგონია ეს ყველაზედ უფრო საიმედო გზაა აღნიშნული ვალის გასანაღდებლად.

ვნახოთ რას იტყვიან, ჯერ მევალენი და შემდეგ მოვალენი.

ეშმაკი.



შხანკოლას

ცხოვრების ბეჯით მოწაფეს,
ულსწავლელს კლასიკურათა,
ნათელი აზრით მჭერ-მეტყველს
ჩაგრულთა სამსახურათა.

—

მუდამ ფხიზელო დარაჯო
მშრომელი ხალხის ბედისა,
ლახვარო მათი ორგულის
მყვლეფელის და თავხედისა.

—

შენი კალამის ჭრილობა
მათ გულზე რადგან დიდია,
მუქთა-ხორების ლაშქარი
მოსისხლეთ გადაგკიდია.

—

გემუქრებიან მოსპობას
ზნეობრივ-ფიზიკურათა,
ხან ჯოხით გცემენ, ხან პრესით
ავათ მოსასმენ ყურათა.

—

განმარტოვებულს გიყურებ,
მხარში მოგიდგე მწადია,
უმართლო მტერი, გარწმუნებ,
ვერ დაგცემს დამიქადია.

—

მხოლოთ მიზანი ბრძოლისა
გქონდეს წმინდა და დიადი,
მას რამე ჩრდილიც არ ადგეს,
არა თუ შავი წყვდიადი.

—

თორემ ხომ იცი, ბრძენთაგან
თქმულება როგორ სწერია:
„მოყვარე მტერი ყოველთვის
მტერზედაც უფრო მტერია“.

—

გამოდი რაღა! საკითხი
თხოულობს გადაწყვეტასა,
ან სხვას უტირე და ან თვით
ბარემ მოუკვდი დედასა.

ბუტუნა.

გურული ენაკვიმატები.

აზ. ზურაბ ნაკაიძე.

გურიანთელი აზნაური ზურაბ ნაკაიძე, მილიციის პრაპორშჩიკი, დიდი ენა წყლიანი, მოსწრებული კაცი იყო. ზრდილი, დარბაისელი ზურაბი თავისი ენა-მახვილობით არავის ინდომდა, მისთვის ერთი იყო ყველა, დიდი და პატარა, იქ საცა საჭიროთ დაინახავდა თავისი გესლიანი ენით ყველას სწამლავდა. ყველა ერიდებოდა ზურაბის შეკამათებას, სიტყვის შებრუნებას, მაგრამ დაუნდობელი ზურაბი მაინც ყველას უყვარდა. რამდენიმე თვეა, რაც ღრმათ მოხუცი, ის გარდაიცვალა, მისმა სიკვდილმა ყველა მისი ახლოს ნაცნობები დააღონა. ზურაბის ყველა ნაკვეს-ნახუმრის გამოქვეყნება შეუძლებელია, რადგან მისი ენაკვიმატობის ნაყოფის უმეტესობა მწარ-ტკბილია და გასამჟღავნებელია მხოლოდ ვიწრო წრეში. ზურაბს ლექსთ-შაირობაც ეხერხებოდა.

ზურაბი და გუდა მშიერი თავადი.

— მადლობა ღმერთს, ჩემო ზურაბ, ცოცხალ გხედავ, თქვენზე მითხრეს მოკვდაო! ხუმრობით უთხრა ერთმა გუდამშიერმა თავადმა ზურაბს.

— მერე და ბატონო თქვენ რატომ დაიჯერეთ დალოცვილო, გლახას აღაპს*) ვინ გამოაბრეებდაო. უთხრა ზურაბმა.

*) ქელეხს.

ზურაბი და ერთი ქალი.

დილა ადრიანათ ზურაბს ერთი საეკვო ყოფაქცევის ქალი შეხვდა და ასე მიესალმა:

— სალამო მშვიდობისა, ბატონო ზურაბ, უი, უკაცრავათ, მაპატივე, შემცდა, დილა მშვიდობის ჩემო ზურაბ!

— ტყულაი აპოწოლიკებ მაგ ენას, აგი ოჯო ყოლიკაცმა იცის, შენ რომ დილას ყოველთვის საღამო გირჩევნია. მიუგო ზურაბმა.

ზურაბი და სახმელებელი.

სოფლის მასწავლებელი გაზეთს კითხულობს, მას ყურს უგდებენ. მასწავლებელმა წაიკითხა, რომ საზღვარ გარეთ მიცვალებულს წვავენ. ერთი პატარა ტანის ხმელი კაცი მოხუცს ზორბა ზურაბს ათვალიერებს.

— რას მიმზერ ბაძია, მაგი რომ ჩვენშიაც იყოს შენისთანაი ჩია კაცი ორასი მაინც მომინდება სახმელებლათო. მოსწრებულათ ეუბნება ზურაბი.

პერპეტუმ მობილე.

ᲨᲐᲠᲐᲓᲘᲐ

დაინახავთ სახეს მასში,
თუ რომ გიდევთ იგი წინა.
მეტ წილად კი საჭიროა,
თავ-მომწონე ვაჟისთვინა.
რომ მან სრულად დაინახოს
უკლებლადა თავის სახე,
გაისწოროს ულვაშები
და დაუგოს ვინმეს მახე.
ქალები ხომ გამუდმებით,
უცქერიან მხოლოდ მასა,
რა ხელ-პირსა დაიბანენ,
მორჩებიან ტანთ-ჩაცმასა.
ამ სიტყვასა ჩვენ წინიდან
მოვაცილოთ ორი კბილი,
შევინახოთ შემდეგისთვის,
უკუ ვაგდოთ სხვა ნაწილი.

—

წუთი სოფლის ცხოვრებასა
ვინც უყურებს უარყოფით;
ლოცულობს კი ჯვარ და ხატზედ,
გულ მოდგინეთ, ხელ-აპყრობით.
არა მჯერა, ამ სულიერს
ცოდვებიც არ მიუძღოდეს;
ეშმაკურსა საქციელსაც
ხშირ-ხშირად არ სჩადიოდეს.
ჩვენ არ გვინდა ბოლო ასო,
მას მოვაჭრათ იგი უნდა,
დავისაჭოთ ამისათვის
სასტიკად და მკაცრად თუნდა.

—

ეხლა აქ რომ სიტყვა გვინდა,
მას ყანები მოგვაგონებს,
როცა მკასა მორჩებიან,
აკეთებენ იქ იმ კონებს.
სულ მარტივი სიტყვა არის,
სახელია ამ კონების.
მოვაცილოთ ბოლო მასაც,
დრო ად არის დაყოვნების.
შევინახოთ კვალად ჩვენთვის,
დარჩენილი ორი წინა;
და მახვილი მოვამზადოთ
ჩასაცემათ მტერისთვინა.

—

მოსვენებას რომ არ გვაძლევს,
ლამობს ჩვენში ჩემოჭრასა;
ნაწილები დავაცილოთ,
მხოლოდ ბოლო სამიც მასა
და, საზღვარზე მოთარეშეს,
ვაქნევინოთ უკან პირი.
შევასუსტოთ, დავამციროთ
მოვსპოთ მისი ფესვი-ძირი.
და ნადავლი სამი ასოც,
მივაკეროთ რაც გვაქვს მასა,
დასასრული მივცეთ დროა,
მით ჩვენ მარტივ შარადასა.

—

აბა რიგზე დავამწკრივოთ,
ასოები ყველა ეხლა;
შეიძლება წილად ხვთეს მას
მოკლე დროში მტერთან შეხლა.
პატიჟობენ ორივ მხარე
ამ ქარ-ცეცხლში ჩასათრევად;
ჯარს თავს უყრის და ცხადია,
ემზადება ჩასარევად.

პეტრე.



— ვინ უნდა ახსნას გალიის კარი ამ დატყვევებულ უცხო ასულსა?

თათრების ტყვე.

(იმერული სცენა)

— დეიწყო თუ არა ომი, ჩემო სპანტიელ, გამიწვიეს ჯარში და შიგ შუა გულ თათრის „ფრონტში“ მიკრეს თავი. ჩავჯექი „აკოპში“, ამოვაყოფიე თოფს ტუჩი „აკოპიდან“ და ბეირივით მივაყარე ტყვია თათრებს! ისთე კი ვისროდი რომე... ერთი ტყვიით სამ თათარს ვაფშეკიებდი ფეხებს! მარა შენც კარგათ გეცოდინება, რომ მუდამ ერთი საქმის კეთება ძაან მოსაწყენია. მეც მომწყინდა „აკოპში“ ჯდომა და თანაც ქე მინდოდა მენდალით გულის მოფხანა. ამიტომ წევედი „როტნი კამანდერთან“ და გოუკეთე დაკლადი: „დაზვოლტე ვაშიბროდიე ნა რაზვედკა სდელაიტ და პაეჟაი!“—„სტუპაი, სდელაი პაჟალუსტა ადალჟენია, კრესტ პალუჩიშ, მენდალ!“ წამევიკიდე ზურგზე საგზალი და გოუდექი გზას მარტუა მე, გევიარე ორი ვერსი—არსადაა თათარი, გევიარე სამი—კიდო არსად ჩანს, რომ შევყე თავი ყული-ხან-ოღლის ტყეში და შეიქნა თოფების ჭიქაჭიქინი! გევიხედე და შამამეხვია ერთი როტა თათრის ჯარი. აქეთ ვეცი, იქით ვეცი არსაითაა ხსნა. მევიგდე თოფი ხელში და... კაკალი ორმაცდა ათი კაცი ქე წავიყვანე იქვე! რომ ვიყარე მათი ჯავრი, დავყარე ძირს იარაღი, ავწიე ხელები და დავნებდი „პლენათ“. მომვარდენ ფესიანი ალია, ბალია და ოღლები, შემბოჭეს თოკებით და გამაქანეს სათათრეთში. შეგვხვდა გზაზე მათი ფაშა და გამიკეთა „დაპროსი“, „სადაა თქვენი პოლკი?“ კრინტი არ გევიღე! „ყმაწვილო, მითხარი, თვარა შიგ ძირში დაგაჭრი ყურებს!“. თებზივით გევისუნტრე! ადგენ და მართლა შიდ ძირში


რ=ი=გ=ი=ს
ყ=უ=რ=ე
ფინსკი
ვილნა
ბოლდერაა
ვლოცი
ბუკაუმი
ოდინგიი
ბაბიტისფა
ლოზერი
ოლაი
ლიბავიისაკენ
ლესფინი
დოგლენი
ბრიუნგოფი
ბალობინგენი
ეკაუ
ბოლოტოკა
ბოლოტოკა
ბოლოტოკა

მეტ ნაწილ დროსა ისინი,
კარგავენ უქმ ლაპარაკში.
ზოგს ზარმაცობა დაჩემდა,
ზოგსაც ქაღალდის თამაში,
სხვა საქმე არავის ახსოვს
და დრო კი მიდის ამაში.
როს სუფრას მოუსხდებიან,
გაერთობიან ჭამაში;
საზოგადოსა საქმეზე,
ატყდება მაშინ განგაში.
ჰყვავის, ნეტარობს სამშობლო,
სუფრის წინ მათ ოცნებაში,
ურთმანეთს ეცილებიან,
ღვინის სმა, „რეჩების“ თქმაში.
არის აზრების დუღილი,
კულტურას ფენენ მხარესა;
სინათლის სხივსა აფრქვევენ,
ნათლავენ არე-მარესა.
ხალხს რაღა ეჭირს ბედნიერს,
ან იმათ შემხედვარესა.
თუ არ მოესწრო ბეჩავი,
მათი იმედით ვარესსა.
საჭირო არის იცოდეთ,
ოჩამჩირელებს გვაქვს კლუბი;
რომელმაც მოთამაშეთა,
ჯიბეებს უქნა აქ ყლუპი.
კულტურულ საქმიანობას
აქ დიდი წინსვლა ემჩნევა;
ახალგაზრდობის ნაწილი
ქაღალდის თამაშს ეჩვევა.
მუშტებს მიმართავს, თუ ვინმეს
ჯიბის კატარი ეწვევა.
ამ მოკლე დროში აქ ვნახეთ
ერთი ამგვარი შემთხვევა.
საკოდნარი არს აგრეთვე,
საქმიანობა ქართული,
სამკითხველოსი მიკეტვა
და სხვა კითხვები კვლავ რთული.
ნორმალურ სასწავლებლიდან
განდევნა ქართული ენის,
ბავშთა გონების დამცემის
და შემლახველი მათ რწმენის.
პატიოსნება სინიდისს
კულტურას თანამედროვეს,
იცავენ ისევ ვაჭრები,
რომელთ ვეძახით „მედროვეს“.

შრომა და გამჭრიახობა
იმათ მიუძღვით დიადი
და არც ზოგავენ უნარსა,
რომ გაარღვიონ წყვდიადი.

გვაწვდიან სანოვაგესა,
გაჭირვებულ ხალხს შველიან,
თუ ვინმეს შერჩა კვლავ რამე,
მოხერხებულად წველიან.

რაც ქონდათ ძველი, დამპალი
ნაჭრები „დანაბრაკავი“,
გასწმინდეს მიფერთხ-მოფერთხეს,
და გაასაღეს ნაგავი.

დაბის გაწმენდის სრულიად
მათ იდვეს თავზე მისია;
ამიტომ ჩვენი ვაჭრებიც
ყურადღებისა ღირსია.

ეშმაკო, დროა მოხედოთ,
შეაგულს ჯოჯოხეთისას,
მოდით გვეწვიეთ მათრახით
ნუ გაგვხდით წილსა სხვებისას.

ამ „პროვინციას“ მათრახი,
კვლავ უფრო მეტი სჭირია,
გადუტყლაშუნე, არ უშავს,
ვინც დამნაშავე პირია.

პეტრე.

ხაშურიდან.

(ვაჭარ გ. გრძელოვის მოწოდებითი ღიღინი)

იმისი მადლის ჭირიმე
ვინც მოიგონა ნისია!!
მუშტარი, ვისგანც მას იღებს,
სულით და ხორცით მისია.

ყიდვა-გაყიდვა ნაკურთხი,
არც კია უკეთესიო:
თან დაგვიმადლებს ყრუ ხალხი,
თან აეგება წესიო.

ნისია წინათ საგმობი
დღეს თუ გვიშველის აგიო,
არა და, უნდა ავიკრათ
აწ ჩვენი გუდა-ბარგიო.

ნისიათ მივსცეთ და ხალხი
ჩვენ გაგვაღმერთებს ყველაო,

კომპერატივი „ცხოვრება“*)
მით უნდა მოვსპოთ ჩვენაო.
მაშ, ხალხი უნდა მივიმხროთ
ჩვენ, დღეს საპიროთ ვიცანი...
ფასიც დაუკლოთ საქონელს,
აგვისრულდება მიზანი.
ვისაც რა უნდა უყვარდეს
ჩვენ ამის გვქონდეს ტრფიალი:
ხალხის გზა-კვალის აბნევა
და ჩვენს გემოზე ტრიალი.
„ცხოვრებას“ წესი აუგოთ
ის არის ჩვენი მტერიო,
შემდეგ ხალხს ძველებურადა
ზურგზე ვადინოთ მტვერიო.

—

ასე უმღერდა გიგუცი
ვაჭრებს „ჩუმათ“ და ჩქარადა,
მაგრამ ეს მისი „აზრები“
„ქარს“ გააქვს მთა და ბარადა.
ვაჭრების გასაცნობელად
და ხალხის დასაფარადა;
მოდი ვუცხუნოთ მათრახი,
რომ ხტოდეს წარა-მარადა,
მანამდე, სანამ არ იგრძნობს
ხალხი ცრემლს რომ ღვრის ღვარადა,
ვინც კაცი არის ასეთებს
თვით უნდა ედგეს მხარადა.

კვესი.

სიზმართა ახსნა.

თელავისათვის.

რადგან 1915 წელი წყეული წელიწადია,— ამისთვის წელს ნანახი სიზმარები კეთილად არ ახდება.

კუ ან ლოკოკინა ნახო—ავია—კახეთის რკინის გზით მოგიხდება მგზავრობა.

ველის ციხის, შილდის, ყვარელის ან ახმეტის დილიჟანი ნახო—კეთილია—უძილობა დაგეკარგება და თავზე კოპოჭები ან დაბეჭილი გვერდები მოგირჩება.

ყვარელის ინტელიგენცია ნახო—ავია—ყველა კეთილად დაწყობილი საქმე ჩაგეშლება.

ახმეტის მოწინავე წრე ნახო—ავია—საზოგადო საქმე დომხალივით აგერევა.

თელავის თავი ნახო—ავია—თავი აგტკივდება.

მეფქვილე გასპარა ნახო—პური დაგიმწარდება.

მყეფარმა სიზმარში გიკბინოს—ცუდია—„უჩასტკაში“ ამოჰყოფ თავს.

თელავის პოლიცია ნახო—კარგია—სამიკიტნოში ღვინო-არაყს იშოვნი.

მამასახლისი ან მწერალი ნახო—ავია—უქრთამოთ ვერ გადარჩები.

თელაველი ქალების საცეკვავო საღამო—ავია—ჩრდილოეთის ქარი იქროლებს.

ედემში იქეიფო—გაავდრდება;

ვოლოხოვის აფთიაქში შეხველ—ავია—მეორე დღეს შენს ჯიბეებს ციებ-ცხელება ეცემა.

თელავის ყასაბი თუ ნახო—ავია—თხის ხორცს ცხვრის ხორცათ შემოგატყუებენ.

მღ. მაისურაძე და თელავის კლუბისტები ნახო—ავია—კარტის მოპარვაში გაგბაწრავენ.

თუ სიზმარში ესპერანტოთი გელაპარაკება ვინმე—ავია—თელავის „ზაველენკებთან“ მოგიხდება შეხვედრა და ლაპარაკი.

ნაზიევი, ტუშკა, კოსტოევი, ხითაროვი, მოსესა და მათი კომპანია თუ ნახო—ან გაგეყიდება რამე, ან დააგირავებ რასმე.

ვანო გარსევანაშვილი, ვალოდია ზინვერი და ფურუზა ერთად ნახო—კარგია—მეორე დღეს ჭაჭის არაყზე დაგპატიჟებს ვინმე.

თელავის მოწაფეები თუ ნახო—ავია—პაპიროზით ხელს დაიწვავ.

კახელი თავადიშვილი ნახო—კეთილია—სიმთვრალე აგყვება.

შაქრო ბახუტოვი ნახო—გაბედნიერდები.

კოტე ბახუტოვი ნახო—თამადათ ამოგირჩევენ სადმე.

თუ სიზმარში გლახა ნახო—სოფლის მასწავლებელს შეხვდები.

რამანა შიუკოვი ნახო—ავია—გაგლანძღავს ვინმე;

რუსიევი, რაზმაძე-გაჩეჩილაძე თუ ნახო—ავია—სუდში საქმეს წააგებ.

შილდის მწერალი კნ. ლევანი ნახო—ავია—ხელადა ღვინოს ჩამოგასხმევინებს ვინმე.

ყვარელის ტუზი ბობლიაშვილი ნახო—ძლიერ ავია—გაფთხილდი, ან ცოლი გაგექცევა, ან წაგართმევს ვინმე.

საშა სისაური თუ ნახო—ავია—მეორე დღესვე გიჩივლებს ვინმე.

ლოთი-ფოთი.

---

*) „ცხოვრება“ არის სახელი
საამხანაგო დუქანის,
თავზარ დამცემი ვაჭრების
მუცელ-გაბერილ-მსუქანის.



ბავშვი. ნეტავი მოვესწრები ამ სამკითხველოს გახსნას?
მოხუცი. შენ რა გიშავს შვილო, მე ვიკითხო მოხუცმა!

ა მ ო ც ა ნ ა

გურჯანელები შფოთავდენ
ტარი კი ტარად-ტარობდა*)
და ყვავი გაბრაზებული
მათზე სწყრებოდა, ცხარობდა.

—

იპოვნეთ ბედი რაიმე?
სიმართლეს ეკითხებოდა...
შეისმინეთ, გაიგეთ,
ტუხინა**) რაებს ლამობდა?!

—

სულ ბეჩავებათ დაგსახათ,
დრო დაგიყენათ შავია
და თქვენსა გაბედულობას
დასჩხავის, როგორც ყვავია.

—

ეჰ, ნუ შეკრთებით! სიმართლეს
რას დააკლებენ ავები!
„სიმართლე სადაც სიმართლობს“
ვერას იზამენ ყვავები!..

ობოლი ჯღარბი.

*) იგულისხმება კასსირათ ნამყოფი მ. ო—ძე.

**) კრებაზედ ძლიერ ბევრი მჭერეტყველობდა მუქთა თბილი ადგილისთვის, მაგრამ ღვთისა და ჯვრების მადლით მიუხვდნენ მათს მაცდურებას და ყველანი გააშავეს ერთის გარდა.

ავტ.

განაკოს მოთამაშის დღიურიდან

(ძღვნათ ბათუმის ნოკრებს და მუშებს)

28 **ნოემბერი.** (ღამით) კარტის თამაში! ოჰ... რა დიდებული რამ ყოფილა!.. მე კი აქამდინ საზიზღარი მეგონა, ვგმობდი და ვაძაგებდი!

ეეეჰ რა სულელი ვიყავი!.. აიღე თუნდა ეს ღამე, მე რომ სათამაშოთ ადგილობრივმა ნოქრებმა და მუშებმა მიმიწვიეს. სულ ერთი საათის განმავლობაში სამ მანეთამდე მოვიგე. თამაშში სამი მანეთი! სამი მანეთი მე თითქმის ორ დღეში არ მიწევს ჯამაგირად. ოჰ რა დალოცვილი ყოფილა. ამის შემდეგ ყოველ ღამით ვითამაშებ.

29 **სექტემბერი.** (დილით) აი სიცოცხლე!.. გუშინ რაღაც მანეთამდე მქონდა ჯიბეში, ეხლა ოთხ მანეთამდე მაქვს. მერე საიდან? ვიშრომე?!. არა, სრულიადაც არა. თამაშობა, მხიარულება და ფული? ამაღამ უსათუოდ კიდევ ვითამაშებ.

29 (ღამის 1 საათი) რა დიდებულია! ღმერთო! სად ვიყავი აქამდე' რას უყურებდი!..კაცი უჭკუო რომ გამოვა, სწორედ ეს არის. რა დროება დავკარგე, რა დღეები!

წუხელის სამი მანეთი მოვიგე, ამ ღამით ხუთამდე, და ერთი მანეთი ჩემს გამაკეთებელ თამაშის მასწავლებელს მივეცი. ხვალ კიდევ მოვიგებ, უჰ, რამდენი იქნება! რამდენი დღე გავა იმდენს მეტს მოვიგებ. ავიღოთ თუ გინდ დღეში მანეთი, ეს ხომ უეჭველია, თვეში **30** დღე—30 მანეთი. 30 მანეთი მე ყველაფერ ხარჯისთვის მეყოფა და ჩემი ჯამაგირი უკლებლათ შემენახება თვეში—50 მანეთი, წელიწადში 600 მ. ორ წელიწადში 1,200 მანეთი. შემდეგ ამოდენა ფულის პატრონი, პირდაპირ მარინსკი პროსპექტზე გამოვჭიმავ მაღაზიას და მეც ხაზეინი გავხდები.

ოჰ კარტო... კარტო! გუშინ საზიზღარი იყავი, დღეს კი სატრფიალო არსებათ გადამექეცი.

30 **სექტემბერი.** (დღის 12 ს.) წუხელ 5 მანეთი მოვიგე, წუხელ წინ ღამით **3** მანეთი, სულ 8 მანეთი. ეგრე იცის ბიჭმა!

ამღამ უსათუოდ ადრე მივალ. ვითამაშებ ჭკვიანათ, წინდახედულათ და უფრო ბევრს მოვიგებ.

30 **სექტ.** (ღამის 3 ს.) რამდენი დღე მიდის იმდენათ ჩემი საქმე უკეთესდება. ოოოჰ რა ცხოვრებაში ვარ! სწორედ ეხლა შევცურდი ნეტარების მორევში და ნექტარით დავითვერი.

აი სიცოცხლე! ათი მანეთი კიდევ ამაღამ მოვიგე. გატკიცინებული თუმნიანია, სწორედ ერთი კვირის წინეთ მოჭრილია მგონი. ათი მანეთი დღეს, გუშინ და გუშინის წინ კიდევ რვა მანეთი სულ 18 მანეთი. რომ იტყვიან: ადამიანს ცხოვრებაში განსაკუთრებითი ფულის საშოვნი დრო შეხვდებაო, სწორედ ეს არის და კიდევაც უნდა მოვიხმარო. ხვალ უფრო მეტს მოვიგებ და იმდენ ფულს ვიშოვი, რომ ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. ვაშა, ვაშა კოსტიავ! როგორი ბიჭი ხარ!.. ეხლა კოსტას მიძახიან და რომ გავმდიდრდები, მაღაზიას გავაღებ, გავხაზეინდები, შემდეგ კოსანდილესაც აღარ მაკადრებენ.

არა, ის პირველი დღე—28 სექტემბერი უნდა ვიდღესასწაულო და იმ ჩემ მასწავლებელ და ქალალდის თამაშის გამპირებელს, რაღაც დიდი რამე უნდა ვაჩუქო.

30 **სექტ.** (ძილში) რამდენია ბანკში?... ათი მანეთი! ბანკ! მოიტა... მოიტა'..ხომ ხედავთ მოვიგე!.. გწყენთ!.. 60 მანეთი მოვიგე!.. გაგცალეთ, გაგცალეთ... კიდევ თამაშობთ? ხუთი მანეთია ბანკში? მოიტათ... მოიტათ.. მოვიგე...

აი სულ 65 მანეთამდე ვარ მოგებული... აწი შეხევით... თუ გინდ რაც გენებოთ ის ჰქენით... მე კი მოვიგე...

1 **ოქტომბერი.** (დილით) ოჰ რა დიდებული სიზმარი იყო?!. ვეჰ ბიჭო რა იქნება, წუხანდელი სიზმარი, ამაღამ ამიხდეს! სწორედ, დიდებულია... დიდებული...

1 **ოქტ.** (დღის 12 ს. და 5 წ.) ჩემი ჯამაგირი 50 მანეთი ავიღე, მონაგები 18 მანეთი კიდევ ჯიბეში მაქვს. ამაღამ კიდევ ბევრს მოვიგებ და შეიძლება ჩემი ფული ას მანეთამდე ავიყვანო.

დღეს ყველანი ფულებიანი იქნებიან, ჯამაგირს მიიღებდენ და ავართმევ. ამაღამ უსათუოდ ადრე უნდა მივიდე, ბევრი მათგანი სტამბის მუშებია და ადრე იწყებენ. ჩვენ კი 8 საათზე ვკეტავთ მაღაზიას და დილით 6 საათზე ვაღებთ, ხანკიდევ შემდეგ დახურულ კარებში ვვაჭრობთ. თუმცა-ღა ნორმალური დადგენილების მიხედვით 7 ს. უნდა ვკეტავდეთ და 8 საათზე ვაღებდეთ ეჰ, როგორ მოკვდა ჩვენი ნორმალური დასვენება! არავინ ყურადღებას არ აქცევს. ჰაი გიდი რა ოხრები არიან ადგილობრივი ნოქნები!.. ნორმალურ დასვენების წესებს ყურადღებას არ აქცევენ და კარტს... თამა. .შ...ო... ვაი საზიზღარო ჩემო თავო!.. ეგ რა აგმოხდა პირიდან?!. ეგ რა სთქვი! კიდევ ძველებურად დაიწყე!.. კარტს თამაშობენ, მა რა ჰქნან...

1 **ოქტ.** (ღამის 4 საათ. 3 წუთ. და 1 წამ.) ვაიმე, ვაიმე, ეს რა მომივიდა!.. რა ვქნა... რა დამემართა!.. ღმერთოო...ო... 70 მანეთი წავაგე.

კიდევ ჩხუბი, გინება, ლანძღვა, მუშტი-კრივი... უძილობა... მე ფულს ვაგებდი სიმწრით ნაშოვნს და ისინი კი... ხარხარებდენ... „დამწვარზე მდუღარე გადაასხესო“ რომ იტყვიან სწორედ ეს იყო. თავი გამიტეხეს, ჩემი 70 მანეთი ამართვეს და 'შემდეგ გარედ გამომაგდეს... ჩემი თვე-ნახევრის ჯამაგირი! ღმერთო, ეს რა ამბავია!.. რა ვქნა... სად წავიდე ვის მივმართო!..ვაიმე... ვაიმე... როგორც დავკარგე ამდენი ფული... თამაშობა... სამოცდა ათი მანეთი, 7 თუმანი!.. ეგ რა ამბავია ჩემს თავზე, რა მემართება!.. თავიც გატეხილი მაქვს, სისხლი მდის!.. რა მიქნეს ამ უღმერთოებმა, ამ ოხრებმა!.. როგორ დამღუპეს კაცი. ოჰ, რატომ არ დაიქცა ის დღე მე რომ თამაშობა .დავიწყე!.. როგორ დავიღუპე, როგორ დავიღუპე! აწი მაინც აღარ ვითამაშებ, მაგრამ როგორ არ ვითამაშო?!. ჩემი ერთი თვის ჯამაგირი მათ დაუტოვო?.. არა.. არა ეს არ შეიძლება... ოხ ღმერთო! რა უბედურებაში ჩავარდი! ოჰ, ის ჩემი დამღუპველი, თამაშის გამპირებელი და მასწავლებელი უსათუოდ უნდა მოვკლა, უნდა მოვკლა! ქაღალდის... კარტის თამაშობა... ეს საზოგადოება...უაღრესი გახრწნილობაა... უკიდურესი ზნეობრივი დაცემულობაა... მის მოთამაშეს ყოველივე პატიოსნება დაკარგული აქვს...

შხამიანი.

სასიყვარულო პასუხი

მაღალ-კურთხევას ილ. გოგიჩაიშვილს.

რათ ილანძღები ილია ჩვენო,
მრევლის ნუგეშო და დამამშვენო?
    რათ არ იხსენებ დროებას ძველსა,
    როს ზუგი უყავ საკურთხეველსა?
ხალხში რომ ნდობა არ გქონდა ბისტი,
გახდი შენ მყისვე სოციალისტი,
    ამბობენ ვიღაც მავნე ენები:
    აბაზთა კასას ჰკრაო ხელები,
და რა ბარაქა ჩაიყარაო,
პირ მომურული გაიპარაო.
    ეს ძველათ იყო ხომ, ა! ილია?
    კვლავ გახთი უფრო გამოქნილია.
დღეს ტიტლიკანა და გრძნობა მცირე
ერთი გვაცხოვნე ილო, გვიწირე.
    კვლავ ისევ ჯიბე რა გახდა თხელი
    შენს არჩევ ბანკსაც გაჰკარი ხელი,
მაგრამ ხომ ესეც არის სულ მცირე
ილო, გვაცხოვნე, ერთი გვიწირე.

    აღარც მიგიღო მღვდლებმა კრებაზე
    და შერცხვენილი გაგაგდეს კარზე.
ფლიდო ღამურა, ჩვენო ილია!
როგორ? სვინდისი თლათ დაილია?..

შხანკოლა.

დეპეშები

ს. აცანა. 24 ოქტომბერს მამასახლისისგან შეკრებილ ყრილობას უსახელო წერილების ავტორმა და სახელ-განთქმულმა ღონიერმა ნოე მგელაძემ მოსთხოვა რომ: დათხოვოდენ საზოგადო საქმეებზე მსჯელობას, მოეტანენ „გარმონი“ და ლეკურის ცეკვას შესდგომოდნენ! საზოგადოებამ იქონია რა ღღევანდელი მდგომარეობა სახეში —უარით უპასუხა. ნოემ ამის გამო განრისხებულმა მოიხმარია მოქეიფე სანდრო და ისეთი ყვირილი დაიწყეს რომ საზოგადოება შიშის ზარმა მოიცვა.—მამასახლისს შიშით გააცივა, შაქო „პომოშნიკს“ სიცხე მისცა და ბოდვა დააწყებია, მწერალს გული შეუწუხდა, რაფიელს ენა ჩაუვარდა, ნევრონ მღვდელი კოოპერატიული დუქნის ქვეშ დაიმალა, პლატონ ფურნეში, სილიბისტროს ორმოცჯერ ზედი-ხედ დააცხინკვა.—დანარჩენებმა კაცებმა გაქცევით უშველეს თავს, ხოლო „შანტეკლერიანმა“ ქალებმა გაქცევა ვერ მოახერხეს და სკოლაში სტოლების ქვეშ დაიმალენ. ორი საათის განმავლობაში საშიშ მდგომარეობაში იყო კანცელარიის მიდამო. შემდეგ კეთილ ინება ბესარიონმა და „ჯელები“ შეაჩერა; რისთვისაც დიდ მადლობას სწირავენ ბესარიონს. აზრათ აქვთ ჩაბარონ რაც შეიძლება ბალე მისი სანატრელი მამასახლისობა და საყვარელი ჯაქვი.

ე—ნი.

წერილი რედაქციის მიმართ.

„ეშმაკის მათრახის“ 26 ნომერში ბ. „ისარი“ სწერს:—ადგილობრივი ნორმალური სასწავლებლის ზოგიერთ მასწავლებელთა მედგარმა იერიშმა ვერ გასჭრა. საგრძნობელი ზარალით უკან დაახევინეს და ექვს ოქტომბერს უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელში სწავლა უკვე დაიწყეს. ამ-ბობენ ძალას იკრებენ და ამ მოკლე ხანში სერიოზული შეტაკება მოხდებაო“.

ვაძლევთ წინადადებას ბ. „ისარს“ ამავე ჟურნალში დაასახელოს ის „ზოგიერთი მასწავლებელი“ და ბრალდება გარკვეულად დააყენოს.

ვადას ვაძლევთ ორ კვირას.

დიდი-ჯიხაიშის სასწ. **მასწავლებლები**

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა კ. თავართქილაძის მიერ შედგენილი და კანტორა **„განათლების“** მიერ გამოცემული 1916 წლის.

კედლის კალენდარი

კალენდარი დასურათხატებული იქნება მწერლების და საზოგადო მოღვაწეობის სურათებით, მოზრდილი ფორმატის.

დაკვეთა ეხლავე შეიძლება შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Почтовый ящикъ № 96. С. Р. Таварткиладзе.

გამოვიდა **ბ. ეშმაკის** მიერ შედგენილი და კანტორა „განათლების“ გამოცემა

ბალკანეთის ქარტა

ფასი ერთი აბაზი. პროვინციის აგენტებს დაეთმობა 15 კაპ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრსით: Тифлисъ, Ольгинская 6. С. Таварткиладзе.

1 მაისიდან ქალაქ თფილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „ეშმაკის მათრახი“, „თემი“, „თეატრი და ცხოვრება“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт.ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ოლგინსკაია, № 6.

იყიდება გასული წლების ჟურნალები:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1908 წ. 34 ნომერი 2 მ. 50 კ.

2) „ეშმ. მათრახი“ –1909 წლ. 34 ნომერი - 2 მ. 50 კ.

ორივე წიგნი ერთად მშვენიერი ყდით ეღირება—6 მან.

3) „მათრახი“ 1910 წლის 33 ნომერი—2 მ. 50 კ.

4) „ალმანახები“ 1909 წლის 10 ნომერი—50 კ.

პროვინციაში მსურველთ გაეგზავნება ჩვენის ხარჯით ვინც წინ და წინ გამოგზავნის ფულს ან ფასდადებით გაიწერს.

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе.



სიმღერა

ბილეულ-მაღნეულის
საბკომბინატი

გაუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელობას — მიირთვით

ლაღიძის

მოსითხოვეთ
ყველგან!

— რა მასმევს **ლაღიძის წყალს?** რას ჩამაცივდი და მოსვენებას არ მაძლევ, რა კი არ დაგიშლია და არ მეშვები მეც გეტყვი:

— რა მასმევს და ჩემი ჭკუა და პირის გემო. ერთმაც და მეორემაც დამარწმუნა, რომ **ლაღიძის წყალს არც ერთი არ სჯობია**, ყველა ქარხანა თავის წყალს აქებს, მაგრამ მას არც ერთი არ შეედრება. ამას წყლის „ზაოდების“ ხაზეინებიც ხედავენ და ამიტომ ყველა ცდილობს მიბაძოს ლაღიძის ფირმას, თავის ბოთლზე ყველა ჩიხტი-კოპიან ქაღლს ხატავს, მაგრამ გარდამიდან ბოთლზე მიკრული ქაღალდის ფარატინა რას უშველის—შიგნით თუ არაფერი ხეირია .. ზოგსაც მერე მოგახსენებ.

ნებადართ. სამხ. ცენზორისაგან. სტამბა „შრომა“. რედაქტ.-გამომცემელი თეოფილე ბოლქვაძე.